უცხოური გავლენის აგენტის თაობაზე კანონმდებლობა - სახელმწიფო უსაფრთხოების კომპონენტი თუ საფრთხე თავისუფლებისთვის?

თამთა კახიძე

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტზე, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამართლის სკოლა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა კახიძე

15.06.2023

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი აფასებს, თუ რამდენად ემსახურებოდა საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ გამჭვირვალობის მიზანს და შეისწავლის, მისი რეგულაციები შეიცავდა თუ არა საფრთხეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისათვის. დოკუმენტი განჭვრეტს კანონპროექტის შესაძლო გავლენას საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესზე. ამ მიზნით, კანონპროექტი გაანალიზდა და შედარდა ისეთი ქვეყნების კანონმდებლობებთან, რომელთაც იგივე, ან მსგავსი შინაარსის კანონი აქვთ მიღებული, ან/და რომლებსაც ინიციატორები საუკეთესო პრაქტიკად უთითებდნენ. კერძოდ, მიმოხილულია აშშ-სა და რუსეთში მსგავსი კანონების წარმოშობის კონტექსტი, შინაარსი და პრაქტიკა, ასევე - ავტრალიის, უნგრეთისა და ისრაელის მაგალითები.

კანონპროექტის შედარებითი და კონტექსტუალური ანალიზი აჩვენებს, რომ ავტორიტარული და დემოკრატიული ქვეყნები მსგავსი კანონების მიღებისა და აღსრულების კუთხით განსხვავდებიან. საქართველოს მაგალითის შესწავლა მიუთითებს, რომ კანონპროექტი არ ემსახურებოდა გამჭვირვალობის მიზანს და საფრთხეს წარმოადგენდა გაერთიანების თავისუფლებისთვის. მეტიც, სამოქალაქო სექტორის მრავალფეროვნებისა და საქმიანობის განსხვავებული სფეროებიდან გამომდინარე, კანონპროექტის მიღება გაზრდიდა ყველა ფუნდამენტური უფლების დარღვევის რისკებს, მათი დაცვის შესაძლებლობების დრამატულად შემცირების გამო. მართალია კანონპროექტი ჩავარდა, თუმცა ნაშრომის მიგნებები დაეხმარება ამ საკითხზე მომუშავე ორგანიზაციებს და დაინტერესებულ პირებს, ინფორმირებული პოზიციით დაუპირისპირდნენ კანონის შესაძლო შემდგომ განხილვასა და მიღებას.

საძიებო სიტყვები: „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი, „უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონი - FARA, რუსული უცხოური აგენტების შესახებ კანონი - RFAL, გამჭვირვალობა.

Abstract

This master's thesis aims to evaluate the draft law "On Transparency of Foreign Influence" initiated in the Parliament of Georgia with a particular focus on its adherence to transparency objectives as stated by the initiators. Additionally, the study examines the potential threat posed to fundamental human rights by the regulations outlined in the draft law. By analyzing the impact of this proposed legislation on the democratization process in Georgia, the document considers the local legal framework as well as draws comparisons with countries that have implemented similar laws. The context, legislative framework and practical applications of similar laws in the United States of America and Russia, as well as the cases of Australia, Hungary, and Israel are scrutinized in detail.

The analysis of the draft law, alongside the comparative examination of other countries' experiences, reveals notable disparities in the adoption and subsequent enforcement of similar legislation by authoritarian and democratic nations. Through the case study of Georgia, it becomes evident that the bill did not serve the purpose of promoting transparency, while also posing a significant threat to the freedom of association. Moreso, given the diverse range of activities undertaken by civil orgnaizations, it would increase the risks of violating numerous fundamental rights due to the significant reduction in their safeguarding mechanisms. Although the initiated draft law was ultimately rejected, the findings presented in this thesis provide insights for organizations and stakeholders engaged in this issue, to inform, empower, and enable them against any future reconsideration of the law.

Keywords: "Foreign Influence Transparency" Law, "Foreign Agent Registration" Law (FARA), Russian Foreign Agents Law (RFAL), Transparency.